ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

სახელდებისა და სიმბოლიკის კომისიის სხდომის

ოქმი N 14

18 ნოემბერი, 2022 წელი ქ. თბილისი, თავისუფლების მოედანი N 2

16:00 სთ

კომისიის სხდომას უძღვებოდა სახელდებისა და სიმბოლიკის კომისიის თავმჯდომარე ნინო ვარდოსანიძე.

სხდომას ესწრებოდნენ სახელდებისა და სიმბოლიკის კომისიის წევრები:

თინათინ ნიბლოშვილი

მარიამ ზაქარიაშვილი

შალვა ოგბაიძე

შოთა გრიგოლია

კომისიის თავმჯდომარემ კენჭი უყარა დღის წესრიგით წარმოდგენილ საკითხს:

სხდომის დღის წესრიგი

„ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2023 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტის განხილვა.

კომისიის წევრებმა სხდომის თავმჯდომარესთან ერთად მოისმინეს დღის წესრიგით წარმოდგენილი საკითხი და გამოთქვეს მოსაზრებები.

ნინო ვარდოსანიძის ინფორმაციით ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სახელდებისა და სიმბოლიკის კომისიამ შეისწავლა „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2023 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი (ქ. თბილისის მერის #12-032231961-03 წერილი), რომლის მიხედვითაც თბილისის მუნიციპალიტეტის 2023 წლის ბიუჯეტის პროექტის მოცულობა განსაზღვრულია 1 438 775, 2 ათასი ლარით, რაც 2022 წლის დამტკიცებულ ბიუჯეტთან (1 305 418, 2 ათასი ლარი) მიმართებაში გაზრდილია 133 357,0 ათასი ლარით.

სახელდებისა და სიმბოლიკის კომისიის მიერ ბიუჯეტის პროექტის დამუშავებისას, განსაკუთრებული აქცენტი გაკეთდა კეთილმოწყობის საქალაქო ღონისძიებებზე (პროგრამული კოდი 02.09.01), გათვალისწინებულ თანხებზე და ღონისძიებების უზრუნველყოფაზე .

კომისიის მიერ საფუძვლიანად იქნა შესწავლილი 02.09.01 პროგრამული კოდის ის ღონისძიება, სადაც საუბარია ქუჩების ნუმერაციის აღმნიშვნელი აბრების მონტაჟისთვის გამოყოფილ თანხებზე, ხსენებული სამუშაოებისთვის წარმოდგენილი პროექტით გათვალისწინებულია 500 000 ლარი.

აღსანიშნავია, რომ უკანასკნელ წლებში შენობა-ნაგებობებისა და გეოგრაფიული ობიექტების აღმნიშვნელი აბრების მონტაჟის კუთხით მნიშვნელოვანი პროგრესია.

2022 წლის ბიუჯეტით გათვალისწინებული 500 000 ლარი სრულად იქნა ათვისებული და ტენდერში გამარჯვებული კომპანია წლის ბოლომდე გააგრძელებს ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას.

ახალი სამისამართო აბრა დამონტაჟდა 5000 ზე მეტ მისამართზე და მოეწყო დაახლოებით 100 ქუჩის მიმანიშნებელი.

2022 წელს, წინა წლების ფასებთან შედარებით 16 ლარით მოიმატა ერთეული აბრის შესყიდვისა და მონტაჟის ღირებულებამ, ფასთა სხვაობა ჩვენი ვარაუდით გაგრძელდება 2023 წელსაც. დღეის მდგომარეობით ერთი ერთეული აბრის დამონტაჟების ღირებულება 76 ლარს შეადგენს. ხსენებული სხვაობის კომპენსაციისთვის არსებობს 150 000 ლარის საჭიროება.

ხსენებულის გათვალისწინებით, საკრებულოს სახელდებისა და სიმბოლიკის კომისია მიზანშეწონილად მიიჩნევს „ქ, თბილისის მუნიციპალიტეტის 2023 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტის წარმოდგენილი რედაქციის, შენიშვნების გათვალისწინების მიზნით ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან დაბრუნებას.

კომისიის წევრებმა დადებითი რეკომენდაცია გაუწიეს აღნიშნულ საკითხს.

სხდომის თავმჯდომარემ სხდომა დახურულად გამოაცხადა.

სახელდებისა და სიმბოლიკის კომისიის თავმჯდომარე

ნინო ვარდოსანიძე